ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3482978

ნომერი: AR1532135

თარიღი : 11.08.2017

გაცემის თარიღი : 18.08.2017

გაცნობის თარიღი : 18.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არიფ კიარიმოვი პ/ნ 01024013632
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 71

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202358625
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არიფ კიარიმოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024013632

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2498/10

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.05.2010

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რაუფ ხიდიროვ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 11 აგვისტოს AR1532135 განცხადება. გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში კვლავ გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
- თქვენს მიერ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარმოდგენილია მხოლოდ 15.35 კვ.მ ფართისთვის. ყველა საპროექტო ფართის ამონაწერი მიმაგრებული უნდა იქნას განაცხადზე. ამასთან, საჭიროა საერთო ამონაწერის განახლება;
- ველში ,,დამკვეთ (ებ)ის სახელი და გვარი'' უნდა დაფიქსირდეს მაჰირ მამმედოვი;
- გეგმაზე დატანილი უნდა იქნას ფასადზე ნაჩვენები დასაკეცი ტენტი. ფასადზე მითითებული უნდა იქნას ტენტის განთავსების ნიშნული. იმ შემთხვევში თუ ტენტები იჭრება საზოგადოებრივ სივრცეში დაცული უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები არქიტექტურული ელემენტების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრასთან დაკავშირებით;
- არ არის წარმოდგენილი ჭრილი;
- შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს - შენობის ნაწილები განთავსებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე - საპროექტო ობიექტი უნდა იქნეს მოქცეული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რისთვისაც უნდა განხორციელდეს საკადასტრო საზღვრების შესაბამისი კორექტირება;
- პროექტის და განმარტებითი ბარათის ფაილებში გამოყენებული უნდა იყოს ქართული შრიფტი;
- წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი გენგეგმა (საპროექტო ობიექტის სახურავის გეგმის ჩვენებით);
- წარმოდგენილი იქნეს სახურავის გეგმა ატმოსფერული ნალექების გადაყვანის სისტემის ჩვენებით - ნალექები არ უნდა ხვდებოდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე;
- არ არის წარმოდგენილი კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი. ამასთან კონსტრუქციული ნაწილის ფაილში გამოყენებული უნდა იქნას ქართული შრიფტი.
- კვლევა წარმოდგენილი უნდა იქნას მაღალი ხარისხით სკანირებული ფაილის სახით;
- საექსპერტო დასკვნის დასკვნით ნაწილში ცალსახად უნდა იქნას მითითებული განხორციელებლი სამუშაოების მიზანშეწონილობის თაობაზე. ამასთან, დასკვნა ხელმოწერილი უნდა იქნას ექსპერტის მიერ;
- არ არის წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის პოზიცია უნებართვოდ განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.